№ 102. 1 ივნისი, ოთხშაბათი. 1866—1883 1 ივნისი, ოთხშაბათი. № 102.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. .	9 მ.	სამის თვისა. . .	3 მ.
ექვსის თვისა . . .	5 მ.	ერთის თვისა. . .	1 მ.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. [illegible]რიგის ასოთი სტრიქონზე რვა კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი (6) მანათი.

მმართველობა «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» ამით აცხადებს, რომ, თანხმად მის გარდაწყვეტილებისა, წლიური კრება «საზოგადოების» წევრთა იქმნება 3 ივნისს, პარასკევს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში, რადგან 25 მაისს დანიშნული კრება არ შესდგა კანონიერ რიცხვის წევრთ მოუსვლელობისა გამო.

საზოგადო კრების განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები:

1) მოსმენა და დამტკიცება «საზოგადოების» საქმეთ წარმოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წ.

2) ახალ-წევრთ არჩევანი, და

3) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლისათვის შედგენილის სავარაუდო შემოსავალის და დასახარჯის ფულის სიისა.

«საზოგადოების» წესდების ძალით კრება კანონიერად შეირიცხება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ბზ-ნთ წევრთ იქვე შეუძლიანთ შემოიტანონ მათ-მიერ ხვედრი წარსულის წლის საწევრო ფული.

ტელეგრამები

პეტერბურღი. 29 მაისს. მათი იმპერატორებითი დიდებულება გამობრძანდენ მოსკოვიდამ საღამოს შვიდის ნახევარზედ და დღეს, შუადღისას, მობრძანდენ პეტერბურღს. ვაგზალზედ მიეგებნენ გენარლობა, სამინისტროების წარმომადგენელნი, პეტერბურღის თავად-აზნაურობა და პეტერბურღის დუმა. პეტერბურღის ქალაქის თავმა და თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გრაფ ბომრინსკიმ პური და მარილი მიართვეს. ქალაქის თავმა გლაზუნოვმა დედოფალს მიართვა თაიგული. ხელმწიფე და დედოფალი ჩასხდენ გადახდილ კალიასკაში და უმცველოდ წაბრძანდენ ნევის პროსპექტით. კაზანის სობოროდამ გამოეგებათ შემოსილი სამღვდელოება; იქიდამ გაეშურენ პეტრო-პავლოვსკის სობოროში იქ დასაფლავებული ხელმწიფეების თაყვანის საცემად. იქიდამ პირ-და-პირ გაეშურნენ პარახოდების სადგურზედ და წყლით წაბრძანდენ პეტერგოფში იმ გზებზედ, რომელზედაც მათ დიდებულებას უნდა გაევლო ჯარი იყო დამწკრივებული და უთვალავი ხალხი, რომელიც სიხარულით მიეგება მათ დიდებულებას. კაზანის სობოროსთან გზა ყვავილებით იყო მოფენილი.

პეტერბურღი. 30 მაისს. გუშინ პეტერბურღი დღესასწაულობდა ხელმწიფე იმპერატორის მშვიდობით დაბრუნებას მთელ პეტერბურღში იყო ილიუმინაცია. პეტერგოფშიც ხალხი მხიარულებდა, ხელმწიფის სასახლეს შემოეხვივნენ და ,,ურას'' ხმა დიდხანს არ შეწყვეტილა.

გუშინ ,,რასკოლნიკებმა'' მადლობის პარაკლისი გადიხადეს და ღმერთს შეავედრეს იმპერატორი, რომელმაც მიანიჭა მათ სამოქალაქო უფლებანი.

პოლტავა ილანის იარმუკობის დროს იქნება აგრეთვე გამართული სამეურნეო გამოფენა.

სიკვდილით დასჯის მომხრეთ გაიმარჯვეს.

თბილისი, 31 მაისს.

ბევრმა საუკუნოებამ გაიარეს მას აქეთ, რაც საუკეთესო ფილოსოფოსებმა და იურისტებმა დაამტკიცეს, რომ დამნაშავეს ჩამოხრჩობა, სიკვდილი თავის მიზანს ვერ აღწევს, ე. ი. იმ მიზანს, რაც სასჯელს უნდა ჰქონდეს. ეს აზრები თან-და-თან გაუჯდათ კანონ-მდებელთ თავში და თუ ცხოვრებაში ვერ განახორციელეს, გულში მაინც დაჯერებულნი არიან, რომ სიკვდილით დასჯა ბარბაროსობის ნაანდერძევია. ყველაზედ ფიცხელი და მჭევრ-მეტყველი მოწინააღმდეგე სიკვდილით დასჯისა იყო იტალიელი იურისტი ბეკარია, რომლის მშვენიერი თხზულება თავის დროზედ ბევრს ევროპის ხელმწიფეს ჯიბით დაჰქონდათ და თავ-ქვეშ ედვათ. რამდენიმე სახელმწიფოში დღევანდლამდე მთლად მოსპობილი იყო სიკვდილით დასჯა. სხვათა შორის, შვეიცარიაში 1874 წლის კონსტი-

---

«დროების» ფელტონი 1 ივნისი.

ისარი

«ეს და მნუგეშობს, რომ მტრის პასუხად
ენა არ ოდეს დამიდუმდება,
რომ მას მრავალჯერ ჩემის მარჯვენით
ისარი გულში დაეძგერება
და კიდევ დიდხანს ჩემს მრისხანე ჩანგს
«ჰკა მაგას, ბიჭო!» დაემღერება.»

ჰ.

შარშან, ჩემო მკითხველო, ამიყოლია მეც წუთი სოფელმა; ავყე რაღა ფეხის ხმას — რა გაეწყობა — და განვიზრახე გაზეთში გაზეთის გამოცემა. ჩემს გაზეთს ნათლობის სახელი «ისარი» დავარქვი. პირველი ნომერიც გამოვიდა შარშანდელ «დროების» № 22-ში. ის იყო და ის, მივაგდე ქვა ჩემს «ისარს». «არა, რა გინდა, შე ოხერო, გამოეც; ქერი გეხარჯება, თუ ბზეო», მეუბნებოდნენ აქეთ-იქით. მართალია გამოცემაში არა მეხარჯება-რა, შვიდი გროშის მეტი გასაგზავნად, მაგრამ... მაგრამ ათასი «ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებანი" წინ მეღობებიან. დღეს მივაფურთხე ამ გარემოებებს, მოვემართე ჩემი «ისარი» და ვნახოთ ღმერთი და ბედი.... ამ პაწია წინასიტყვაობის შემდეგ შეუდგეთ საქმეს.

—

აპრილის მშვენიერი დღე იყო. ახლად შებიბინებულ მინდვრებზე; თეთრად გაპენტილ ხეებზე დაციმციმებდენ მზის სხივები; ბჭყვრიალებდენ ათას ფერად ყვავილები; ახლად მოფრენილი მერცხლები ღროჭინებდენ, გაფაციცებულნი დაეძებდენ ძველ ბუდეებს; ბუნება ერთობ მოლხენილი იყო. ძლიე უნდა იყოს კაცი, რომ ამისთანა ლხინის დროს არ გამოერკვეს, არ ჩაერიოს მობანედ. გული უნებლიედ გაჰყვება ხოლმე ბუნების სიმშვენიერეს, მიეცემა კაცი ტკბილს ოცნებებს; ათასი ფიქრები დაეძერიან; მიურბ-მოურბიან თვალწინ; მშვენიერი ჰაერი მის ოცნებებს ხელს უმართავს, ფრთებს უსხავს კაცი ამ დროს თითქოს ღმერთამდინ ადის. მაგრამ მე ამ მშვენიერს გაზაფხულის დილას გულ-მოკლული ვიყავ; არ მესიამოვნებოდა-რა; მწოლარს, თუ მჯდომარს

„ზედ მაწვნენ უთვალავნი
მწარე ფიქრები,
როგორც მაღალს მთას დილით შავნი
ავდრის ღრუბლები".

ფიქრთ განსაქარვებლად მე გავდექ ქუჩის პირას; ვიფიქრე ნაცნობი შემომხვდება და კარგი იქნება—მეთქი. არ ვიცი მე დამცინოდენ, თუ თავიანთ თავებს: ვინც შემომხვდა, ჩემზე უარესად დაღვრემილები, ცხვირ ჩამოშვებულები, წარბ შეკრულები. ახა ვაგლახთა! დღეს ყველა მარცხენა ფეხით რად ამდგარა!—ჩავიარე ქვევით. აი, აგერ, დამიპირდაპირდა ერთი ნაცნობი, რომელსაც ჭირიანი ინდაურივით თავი ჩაუქინდრავს და ფეხებს ძლივს მიათრევს.

— ბიჭო, ბარამ, შენა ხარ! გამარჯობა შენი! უთხარ მე ღიმილით.

— შინ წადი... სსუუ!... მითხრა მქრალის ხმით და ტუჩებზე ხელის ფარებით.

— სსუუო, რას მიკიჟინებ, დირბელი ხომ არა ვარ გავეხუმრე მე.

— ანალვლე, მიპასუხა იმან, ხელი ამიქნია და საჩქაროდ მომშორდა. მე იმას თვალი გავაყოლე. ამისმა ეჭვით ლაპარაკმა ცნობის მოყვარეობა ისე საშინლად გამიღვიძა, როგორც მშიერს პირველი ლუკმა ულვიძებს ხოლმე მადას. ჩავცდი ქვეით. აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს, რომ შემხვდეს ვინმე და ცნობის მოყვარეობა მოვიკლა. ვისაც შევხედე, თვალი მომარიდა, ზოგი დუქანში შევიდა, ზოგმა ამოღებულს საათს თვალები დააშტერა, რა არის, არ დამელაპარაკოსო. ამ დროს უკანიდამ მამწვდა ერთი კარგი ჩემი ნაცნობთაგანი, თითქმის მეგობარი. წამომიმხარდამხარდა, ცალ გვერდზე პირთან ხელი მიიფარა და გავლით და გაკვრით წამომძახა:

— ბიჭო, გაიგე?... წითლები, სოსნები... მმ...აქ შეყოყმდა.

— ხხვა ალარა იცი-რა? ბარემ ლურჯებიც თქვი... ქაცო, რას გადასცემ! რის წითლები, რის ლურჯები!...

— შეიტყობ, მომაძახა და ჩამომიარა გვერდს.

გაყვითლებული სახე უმტკიცებდა, რომ რაღაც უჩვეულებრივო საქმე უნდა მომხდარიყოს ჩვენს ქალაქში.

მე უკან გამოვბრუნდი; დაფიქრებული მოვადექ ჩემს სახლის კარებს. მივხვდი რაშიაც იყო საქმე. წამოვწექ ტახტზე ლუარსაბივით ფეხი ფეხზე შემოვიდე და ჭერებს შევაშტერდი; დიდხანს არ გამოუვლია, მოვიდა ჩემი მეგობარი თომა.

— მიკვირს არა გძინავს, მაგრამ ოცნებეები არ მოგაცლიდენ. დაგწყევლოს ღმერთმა, რა კაცი ხარ: ან სულ გძინავს, ან სულ მთელი დღე ოცნებობ, მითხრა თომამ ხელების პარჭყვით.

ღმერთმა დამიფაროს და ღვთისმშობელი მწყალობდეს, ვუთხარი მე პიჯვრის წერით.

— რისგან, ბიჭო!

— ოცნებისგან.

— მაშ რას აკეთებ?

— ვნატრობ, ესე ჩემთვის ოთხკედელ შუა, გესმის? ისე ჩემთვინ ვნატრობ მეთქი... ამას ხომ ვერავინ დამიშლის. დიახ, ვნატრობ, ნეტა ერთი პეპელად მაქცია.

— რად, კაცო! მითხრა თომამ და გაცვიფრებით დამიწყო ცქერა.

— მინდა კედელს მივეკრა, რომ საქმე არავისთან მქონდეს, საქმე, გაიგე?

— აი შენი პატრონის ბრალი, შენი! მითხრა გესლიანის ღიმილით თომამ, შეგაშინეს! აი, აი, აი! სირცხვილო!! რისა გეშინიან, რა გიქმნია!

ამ სიტყვაზე მე პოტივით წამოვყავ თავი, წამოვჯექ; მივიხედ-მოვიხედე და რა გული დავაჯერე, რომ თომასა და ოთხი კედლის მეტი არავინ მიყურებს, ვუთხარი:

— როგორ არ უნდა მეშინოდეს: ერთხელ ხმა მაღლა ვსთქვი კამპანია ღმერთმა აღდეგრძელოს ყველა ქართველი კაცი მეთქი. ენა მაქვს მოსაჭრელი შიგ ძირში, მეთქვა თუ ღმერთმა აღდეგრძელოს ყველა კარგი კაცი; მაშინ არხეინად ვიქნებოდი...

— სხვა? მკითხა თომამ.

— სხვა რაღა გინდა; ამიტომ მინდა რომ მოვშორდე ყველაფერს, დავშორდე ყველას, რომ გულ-დამშვიდებით ვიყო... იმ დღევანდელი არ იყოს, გადავკარ და ჭოვყევ ღრიალს

ტუციის ძალით მთლად მოისპო ეს სასჯელი, მაგრამ რამდენიმე კაცის კვლის შემდეგ, კიდევ ამოუყვეს თავები სახრჩობელას მომხრეებმა და აყაყანდენ. ამათი წყალობით ზოგიერთ კანტონებში, როგორც ური, შვიცი და სხ. ხელმეორედ შემოიღეს სიკვდილით დასჯა. მაგალითი ყოველთვის გადამდებელია, და იმათ მაგალითებს სხვებმაც მიჰხედეს. წრეულს იმისთანა განათლებულმა კანტონმაც კი როგორც ციურიხია, ისახელა თავი იმ უვარგისო საქმით და 28,394 ხმით 20,259-ის წინააღმდეგ გადაუწყვეტიათ სახრჩობელას ხელ-მეორედ შემოღება,

დიდი ხანია, რაც მწერლობამ «ქალაქის დებულების» ნაკლულოვანებები უჩვენა საზოგადოებას და მართებლობას, და ის საშუალებაც წარუდგინა, რითი უნდა შეასწორონ ეს ნაკლი. უმთავრესი ნაკლულევანება „ქალაქის დებულებისა“ ის არის რომ ქალაქების მთელი ბატონობა და პატრონობა მოვაჭრე ხალხს ჩაუვდო ხელში, და უფრო განათლებული ნაწილი საზოგადოებისა კი, ვისაც ქალაქებში უძრავი ქონება არა აქვს, დაშორებულია ქალაქის საქმეებიდამ და არაფერი ხმა არა აქვს. ეხლა ბ. სტასიულევიჩს, („Вѣстникъ Европ“-ის რედაქტორს), რომელიც ამ ცოტა ხანში პეტერბურღის ქალაქის თავის თანაშემწედ ამოირჩიეს, წინადადება შეუტანია, რომ ქალაქებში ხმოსნად ამორჩევის უფლება მარტო ვაჭრებს არა ჰქონდეთ. სტასიულევიჩი ამბობს: ის წესი მაინც შემოვიღოთ, რომელიც ბალტიის ზღვის პირის გუბერნიებში არისო, სადაც ყველას შეუძლიან ხმოსნად არჩევა; საჭიროა მხოლოდ ქალაქის სასარგებლოდ რამე—ცოტაოდენი, გადასახადი დაიდოს.

ძლიერ სასარგებლო იქნება ჩვენმა ქალაქმაც მიჰხედოს იმათ მაგალითებს და შეასწოროს ის უსწორ-მასწორობა, რომელიც იმავე ქალაქის დებულების წყალობით, სუფევს თბილისის მცხოვრებლების სხვა-და-სხვა ნაწილებ შორის. თბილისში მაინც უფრო მეტი უსამართლობა მოსდევს ამ კანონს, რადგანაც მოვაჭრე ხალხი სულ სხვა ტომს ეკუთვნის და ქალაქის გამგეობა მთლად იმათ ხელშია.

ახალი ამბები.

≈ ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის შემდეგ სალდათებს დაურიგეს 55,000 ვერცხლის მენდლები. მენდლები ვერცხლის მანათის ოდენაა როგორც სიდიდით ისე წონით. ერთს გვერდზედ აწერია: «ალექსანდრე მესამე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა.» მეორე გვერდზედ არის გამოხატული გვირგვინი და სკიპტრა.

≈ შარტრის ჰერცოგი, რომელმაც ჩვენი მხარე მოიარა, კინალამ დალუპულა კასპიის ზღვაზედ იქიდამ პირდაპით პეტერბურღში წავა.

≈ როგორც ერთს პოლშურ გაზეთში სწერენ, ლვოვში მოსულა ადრინდელი ვარშავის არხიეპისკოპოსი ფელინსკი, რომელიც 1863 წლის აჯანყებისთვის იაროსლავში იყო გაგზავნილი. ფელინსკისთვის პენსია დაუნიშნავთ, მაგრამ ვარშავაში შესვლის ნება არა აქვს. ლვოვში პოლშელ საზოგადოებას დიდის ალტაცებით მიუღია და ყოველთვის აქეთ-იქითა ჰპატიჟობენო. ყველა კორპორაციებს (ამქარს) დეპუტაციები გაუგზავნია თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

სცენა

მუშტაიდის კარებთან ბირჟის ფაიტონი გაჩერდა. შიგ ზის ალალო გურჯიჩი თავისი „სემეისტით“: გვერდში უზის თავისი მეუღლე, ფაშა-ფეფელა. თუმცა ალალო მოსკოვში და მაკარიას ბევრჯერა ყოფილა და „ბლაგაროდნი“ ხალხიც ბევრი უნახავს, მაგრამ მუშტაიდის კარებთან ბევრი არაფერი კავალერობა დაუმტკიცა თავის ფეფელოჯანს. ფაეტონი გაჩერდა შიგ მჯდომნი თითქოს ერთმანეთს რიგს უგდებდენ; არც ერთი არ გადმოდიოდა. მერე ალალომ მალიან ბრიყვათ მარცხენა ფერდში მუჯლუგუნი წაჰკრა თავის ფეფელას და ზედაც დაიტანა: ახარ, ადამიანო, აღარ გადახვალ? ამოდენა „ბლაგაროდნი“ ხალხი ჩვენ გვიყურებს, ასე გგონებაო, ფაიტონის უნახავები არიანო!... ფეფელამ თავისი ქმრის სიბრიყვე თითქოს ვერცა შეამჩნია და ფაიტონიდამა გადმოვიდა. ცალი ფეხი კიდეც ჩამოდგა მიწაზედ, როდესაც ალალომ კაბის ბოლო წასტაცა.

— დაიცა, ფეფეჯან, დაიცა! რას ჭმურები ნამუსი აღარა გაქვს?..

— ნეტა რავქნა, უნამუსობა რა მიქნია? მოუბრუნდა ფეფელა.

— ჰო, ფეფეჯან! მოუღრჭიალა კბილები. დედაკაცს ერთი ცალი ფულის ჭკუა არა აქვს, შე ოჯახქორო, იმოდენა აფიცრები გიყურებენ და პირ-დაპირ ფეხი გადაიშვერე. არა, შენი კოჭები სხვას სად უნდა აჩვენო... ეს სიტყვები ალალომ სულ ფაიტონი და გადახრილმა, თვალების ბრიალით, მიაყარა და თითონაც გადმოიბაბლა.

— მოდით რაღა, თქვე მ-ღის წიწილებო, მიუშვირა ხელები და გადმოსხა ფაიტონიდა ორი პატარა ქალ-ვაჟი, რომელნიც შლიაპებით და თეთრი კურტუკებით მორთულნი წინ უსხდათ.

როგორც იყო გადმოლაგდენ ფაიტონიდამ. ქალ-ვაჟი წინ გაიმძღვარეს და მეუღლენიც დაწყვილდენ და ქაქ-ქაქით გასწიეს. ჯერ სულ ოცი ნაბიჯი არც

«ჩემი სამშობლო ორ ზღვა შუაა გადაჭიმული», ვინა მკითხავდა, აბა ერთი მითხარ.

— შენ, მგონი, მალე ჭკუას შესცდები აი, მეგობარო! მაგისთანა რამეებს, უმანკო ფიქრებს, ვინ დაგიშლის. განა საქართველოს შვილს თავის დედაზე ფიქრს დაუშლის ვინმე? განა იმოდენად ბავშვები არიან ვინმე? ვაიმე, ვ იმე! არ იცი რომ ჩვენ ვცხოვრობთ მეცხრამეტე საუკუნეში, რომ არავის ჩვენთვის თავში არ ჩაგვაკვრევინებს? ფუ, შენს ვაჟ-კაცობას, რომ ეს აქამდე არ იცოდი! თუნდ ეს ასეც არ იყოს, ვსთქვათ, მაშ უნდა გულ-ხელ-დაკრეფილები ვისხდეთ ატოცის გლახებივით.?. მაგისთანა დაბდურებით, როგორც შენ, სავსეა სამშობლო!? ჩხავილიც კი არ შეგვიძლიანთ.. თუმცა ნათქვამია, რომ «მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო, მაგრამ ხომ დააფთხობს-ლა..» არა, ის ლომი—ამბობს ბერნე, რომელიც მოკვდა, დასტოვა კი ცოცხლად თუნდ ერთიც არი ვირი მათვის, რომ კიდევ შეეძლოს ტლინკების მიყრა ლომის ლეშზე,—ყოფილა საბრალო ლომი»... აი...

— შენმა სიცოცხლემ ლომს კი არა და იმას დაადარე.. მე როგორც ვხედავ, არა თუ მკვდრებს, ცოცხლებსაც ტლინკებს აყრიან ვირები. მეჰ, ვირები ლომობენ, ლომები კი ვირობენ.

— აი ყოჩაღ, ეგ კარგი მოგივიდა, მეგობარო! ამინ და კირიელეისონ!.. სწორედ ესრე შვრებიან—ჩვენი ლომი მამულის-შვილები... ხა, ხა, ხა! გესმის!?. რომ ლომობა არავინ დაგვწამოს, მოდი და ვივიროთ. ადგიათ კურტანი და ეზიდებიან ნაგავს თავის მეზობლის ეზოდამ მეორე მეზობლისაში...

— ჰმ!.. ლომი მამულის-შვილები!? ლომი!? ჰმ!. გითხარ, რომ ვირობენ და მტერს ახარებენ..

— მართალია, გამაწყვეტინა თომამ, აი თუნდ ლიტერატურას გავავლოთ თვალი: თუ კაცები არიან ერთს რომელიმე აზრს, მიმართულებას, პარტიის მიზანს—თუ კი იგი მოიძევება ჩვენში, გაარჩევენ სვინიდისიანად, მიუდგომელად, სერიოზულად. «დროება» შეეხო «შრომას» ასე თუ ისე. მოიხსნება გუდები ლანძღვა-კინებისა.. «შრომა» შეეხო, ახლა «დროება» მოხსნის.. ლანძღავს მარიანაშვილი ბუგეჩაშვილს; ეს უკანასკნელი პირველს და ზედ აღებს როსტომაშვილს; ახლა გაბრაზებული როს—შვილი მე და შენ დაგვიწყობს კინებას; ლანძღავს ამაყი ბოსლეველი ხიზანაშვილს და სხ. და სხ. ვინ მოსთვლის, რამეთუ სახელი მათი არს ძრავალ.. ნეტა იმას ლანძღავდენ, რაც სალანძღავია: გახსოვთ წერილი «შრომის» რედაქტორთან ბ. მჭედლიძისა (იხილე «შრომა» ამა წლისა № 15-ე), რომელიც შხამით სავსე კალმით, გულ-მდუღარედ, ღრღნით აღნიშნავს შემაძრწუნებელ ფაქტს, ქართული ლიტერატურის დ.ბეზღებაზე. მერე ვისგან?—კარგა წაიკითხეთ და ღრმად ჩაიბეჭდეთ სულსა და გულში--ვისგან, იცით? მ. დ. ღამბაშიძისაგან!! თუმცა უხეიროს, მაგრამ მაინც კიდევ, ასე თუ ისე, ლიტარატორისაგან!—ამ ღამბაშიძისაგან დედის გაცემაზე, გმობაზე, როგორც მე მახსოვს, მჭედლიძის მეტს ხმა, კრინტი არავის დაუძრავს, ხმა!! რითი არა სჯობიან ღამბაშიძეს იუდა ისკარიოტელი, გამცემელი მთელი კაცობრიობის მაცხოვრისა?!*) იუდამ გასცა, ოც-და-ათ ვერცხლად მიჰყიდა ქრისტე, რომელსაც ზედ გულზე ენთო მწვავი ცეცხლი დავრდომილის კაცობრიობის ხსნისა, მაგრამ იუდას იმოდენა-ღა სვინიდისი კიდევ შერჩა, რომ იგრძნო, შეინანა და თავის თავს თვით გადუჭრა სამართალი: თავი ჩამოიღრჩო!.. ღამბაშიძე, თუ კი მართალია მჭედლიძის მიერ აღნიშნული ფაქტი, თავის დარჩობაზე მეტის ღირსია. რაც მიეტევება იუდას, ის ღამბაშიძეს არა. მაშ რას აპირობს? რითი უნდა გამოისყიდოს საქციელი, განძრახვა დედის ყელის გამოჭრისა?? დავიჯეროთ ეს მართალია? წარმოსადგენია?—ამისთანა კაცს უნდა ხალხმა საქოლავი აუგოს და გამვლელ-გამომვლელ ქართველმა ზიზღით მიაფურთხოს! ამისთანა კაცის სახელწოდება უნდა შხამ ნარევი მელნით დაიბეჭდოს გულზე ყოველმა ქართველმა, რომ მუდმივმა წვამ წყევლა-კრულვა ათვლევინოს, რომ ეს წვა გარდეცეს შვილთაც.. აი, როცა შინ ასრე ვსჭამთ ერთმანერთს, ვყიდით ერთმანერთს, იქით, მოფარებით კუთხეში სხედან და სიამოვნების ნიშნად იცმაცუნებენ ტუჩებს!!. მეგობარო, ახლა კი წერტილი დაუსვათ, თორემ, თუმცა ეს ჩვენი ლაპარაკი ოთხ-კედელ შუაა და არავის ესმის, აკაკისა არ იყოს „თავში მოგვხვდება დიდი კეტი“. მოდი ეხლა ის მასალა გადავშინჯოთ, რომელიც მე მაქვს მოგროვილი «ისარში» დასაბეჭდათ.

აქ თომამ ჩაიყო უბეში ხელი და ერთი ბლუჯა ქაღალდები ამოაცოცა.

— მე წავიკითხავ, შენ ყური უგდე. აი, ჰა!..

თბილისი, 25 მაისი. («ისარის» კორ.) ნება მომეცით ეს კორესპონდენცია ჰეინეს სიტყვებით დავიწყო: ჩინეთში ასე გაშინჯე კუჩრებიც (მეურმე) კი ზრდილნი არიანო. როცა ვიწრო ქუჩაში იმათი ეტლები შეეყრებიან და ერთმანერთს მოედებიან თვლები, ისინი როდი მოჰყვებიანო ყვირილს და გინებას, ჩამოხტებიან კოფოებიდამ, ერთმანერთს თავს მოუხრიან, ეუბნებიან კომპლიმენტებს, შემდეგ შეუდგებიან თვისი ეტლების წესში მოყვანასო; შემდგომ ამისი ისინი ხელმეორედ ერთმანერთს მოიკითხავენ, გამოეთხოვებიან და მიდიან თავ-თავისკენ. კარგი იქნებოდა, რომ მაგალითი ზრდილობისა ჩინელი მეეტლეებისგან აეღოთ არა თუ ჩვენებურ მეეტლეებს, არამედ სწავლულებს—მე ვიტყვი: ლიტერატორებს.—როცა ამ ვაჟ-ბატონებს ურთიერთ შორის შეტაკება მოუხდებათ, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანერთის შემწეობით ზრდილობიანად დასხნან გაუგებრობა, ესენი მოყვებიან ლანძღვა-გინებასო. სწორედ ჩვენ მწერლებზეა ნათქვამი. ქართველი კაცი აქეთ-იქით წევას არის დაჩვეული; ყველა თავისას გაიძახის, ყველა ცალკე იწევს; ორს კაცს ვერ ნახავთ ჩვენს თბილისში, რომ ერთმანერთს უდგებოდენ, ერთს აზრს ადგნენ. ერთად-ერთი სააზნაურო სკოლა აქვთ, სკოლა სადაც, ცოტად თუ ბევრად, ქართული სული ტრიალებს, და ისიც ვერ შეუმაგრებიათ. რათა? მათა, რომ მასწავლებლები გედივით ცაში იწევენ, სკოლის, ანუ კამიტეტისა წევრნი ზოგთ

---

*) ჯერ მინამ საქმე დაწვრილებით არ გამორკვეულა, ჩვენა გვგონია, რომ ესრეთი შეურაცხებელი ჯვარზედ გაკვრა ღამბაშიძისა ცოტა მეტია.

რედ.

კი გადაუდგათ, რომ აღალო ფეფელას მიუბრუნდა.

— დედაკაცო, მოდი ე კუნჭულში მივსხდეთ. გასასყიდი ცხენი სომ არა ხარ, რომ ამ შუაგულში იარო და გარს შემომსხდარმა ამოდენა ხალხმა შენა გშინჯოს.... ფეფელას სიარული უნდოდა, მაგრამ ქმარს ველარა უთხრა რა და გვერდში მოუჯდა.

— აბა ლიმონადი გინდათ, თუ ჩაი! დაეკითხა აღალო თავის ჯალაბს. აქ განა პაპი თქვენის ბადია, რომ მუქთად დასხდეთ; გინდა, თუ არა, უნდა ჯანი გაიგდებინოთ და დალიო რამე.

— ჩაი შინ კი არ მომწყინდა, ამ სიცხეში ჩაის ვინ დაჭლევს? ლიმონადი მოატანინე, უთხრა ფეფელამ,

— ლიმონადი? ჰმ, მამაშენი, ყაზაზოადოც, სულ ლიმონადებით არ დაიხრჩო! გაუხუმრა, ვითომ, აღალომ ცოლს და ბიჭს უბრძანა ლიმონადი მოეტანა. შუაზედ დასეირნობდენ კავალერი თავისი დამით. ქალს ახალ მოდის შლიაპა ჭხურავს, მაშვის ბუდესავით თავზედ ჩამოფხატებული, ზედ აცვია ჩესუნჩის კაბა და უკან ტუნიკი ისრე აქვს შემოგდებული, რომ ყარაბაღული უნაგირის ბოლოს მოგაგონებს. აღალო დიდხანს უყურებს, უკმაყოფილოთ თავს იქნევს და მერე ცოლს მიუბრუნდება:

— აი კაცმა რომ ინატროს მაგისთანა ცოლი! აბა შენ ერთი რახარ!

— იჰ, კაცებს ყველა სხვისა მოგწონთ. იქნება მეც სხვა ვინმე მომწონს! აქ რამდენი კაცია შენზედ ლამაზი, რატომ მე არ გამობ?....

აღალო მთლად თვალებად გადაიქცევა, თითქოს ჩაელაპვას უპირატესო.

— ჰო ეგეც ხომ გათქმევინეს. ეგეც ხომ გათქმევინე! აბა მეც ეგ მინდოდა. მაშ ემაზედ... ემაზედ.... ულვაშზედ ხელს ისვამს, ეჰ, მახლახ რალა! ნეტავი ეხლავ დედა-მიწა გასქდეს და მე და შენ ორივე შიგ ჩავარდეთ! ისე მაგრა დაჭერავს სტოლს ხელს, რომ ერთი სტაქანი სტოლიდამ გადმოვარდება. აღაჯან, წამიყვანე, ერთი კარგი ჭაერი ვისუნთქო! აჯავრებს თავის ცოლს. თურმე შენ კაი ჭაერი კი არა, კაი კაყების ცქერა უფრო გდომნია.....

ფეფელა სახტად დარჩომილი უყურებს და თითქოს ვერ გაუგია, რამ გააცეცხლა იმისი ქმარი.

— ,,სკოლკო თებე‘‘? შეტევით ეუბნება აღალო ახლო გამოვლილ ლაქიას და გადუყრის ფულს.

— ადე, ემ საათში შინ წავიდეთ! ფეფელა ყოყმანობს.

— ადექი მეთქი! უტევს აღალო.

— მოიცა, აღაჯან, სული მაინც მოვიქციო. მაშ რისთვის წამოვედით.

— ადექი მეთქი! რისთვისაც წამოხვედი, ეგ მე ვიცი, ზოგიც მერე მოგბრძანდით... ადექი მეთქი! ვაი, ხათაე!

ფეფელა დაემორჩილდება თავის ბრძანებულს, შვილებს წინ გაიმძღვარებს და გასწევენ.

* * *

გლდანელი

არც სარა-ბერნარზედ, არც პატიზედ ესეთი თავის მტვრევა არ გვინახავს, როგორც გუშინ იყო გლდანელის ჭიდაობაზედ ხუთი ათასამდენ კაცი იქნებოდა შეყრილი, მაგრამ მათში მხოლოდ მესამედს ბედნიერთ ერგოთ ბაღში შესვლა, რადგანაც ბილეთები მალე დაიტაცეს და ალაგი აღარ იყო. შვიდი პირი ჰყიდდა ბილეთებს და მაინც ვერ ასწრობდენ.

— ქალბატონჯან, კნიაზჯან, ჩქარა ბილეთი, შენი სულის ჭირიმე, შემოჰყობდა რომელიმე მუშტარიდან ფულს და ისეთი სულის სიმწარით ელოდა ბილეთს, თითქოს იმითი პირ-და-პირ სამოთხეში შეუშვებდენ. ფასი ერთობ ეძვირებოდათ, მაგრამ მაინც უკანასკნელს აძლევდენ.

— ორი ბილეთი მიბოძეთ, კნიაზჯან! და შეაწვდის ორ აბაზს.

— ერთიც არ შეიძლება. უკანასკნელი ბილეთი ათი შაური ღირს, უპასუხებენ.

— ვა, რა ამბავია! ათი შაური მამეცით, ვისაც გინდათ დამჩიდეთ.. გაბრუნდება, იტარტმანებს და მაინც აძლევს ათ შაურს.

— კნეინაჯან, აი ემ ათი შაურის მეტი არა მაქვს ჩემმა მზემა! მოდი, ბილეთი ექვს შაურად დამითმე, საწყალი [illegible] ვარ! იღრიჭება ერთი კინტო.

— ათი შაური გქონია, ბარემ მოგვცეი სულ.

— არა, გენაცვალე, ეს ერთი აბაზიც ჩარექისთვის დამრჩეს, აქედამ რო გავიდე, თქვენი სადღეგრძელო დავლიო...

კნეინას ეცინება, ექვს შაურად უთმობს ბილეთს და აბაზს თავისასა სდებს.

საკვირველი სანახავი იყო, რანაირად ეღრიჯებოდენ პატარა ყმაწვილები, რომ ბილეთი იაფად დაეთმოთ.

პოლიციიდამ ასი კაცი იყო მოწვეული და მაინც ვერ შეიმაგრეს ხალხი, თუმცა ცხენოსანი ყაზახებიც ჰშველოდენ. დღევანდელი ჭიდაობა იყო გამართული რამდენიმე ღარიბი ოჯახის სასარგებლოდ. დიდი მადლობისა და მაბაძვის ღირსნი არიან კ-ნ. ნინო ბარათოვისა და კ-ნ. მაიკო მელიქოვისა, რომელთა წყალობითაც რამდენიმე ღარიბი ოჯახი ეხლა სულს მოიბრუნებს. ამ კეთილშობილმა ქალებმა არამც თუ მოჭიდავის მოყვანა, აფიშების და ბილეთების დაბეჭვდა იკისრეს, შუა დღიდამ საღამოს შვიდ საათამდე იმ სიცხე-პაპანაქებაში ისხდენ და ბილეთებს ჰყიდდენ. ეს კარზედ. ახლა შიგნით შევიხედოთ. ხალხი თითქმის ოთხი საათიდამ დალაგებულიყო და შვიდ საათამდე დიდის მოთმინებით ელოდა მოჭიდავეს. ძლივს ზურნამ საჭიდაო დაუკრა და შუა წრეში გადმოხტა ლომივით გაბრაზებული გლდანელი. მასთან გამოჰყვა ათამალა-

---

წყალში თევზივით, ზოგი უკან უფსკრულში კიბოსავით ჩასცივებიან, ბატონო, ამ ცხვეთაძეს და სადაც არა მგონია წასტრუჭმენ, მაგრამ ვის აცდის, საცა არა მგონია ფილტვივით თავს მოექცევა. ნეტა მოგესმინათ, როცა ეს ანგარიშს კითხულობდა! ციფრები სულ ყელზე ადგებოდა. შემდეგისთვის ამის ცოდოში ნუ ჩადგებიან!

სწორედ ამაღამ, 25 მაისს, არის დანიშნული კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» წევრთა. ალექსანდროვის ბაღში შევხვდი ერთს ჩამოსულს სოფლით წევრს; «წამო წავიდეთ ამაღამ კრებაზე». უთხარი.

— საქმე გამოგლევია, ბიჭები ჩამოვიყვანე, უნდა გლდანელს დავჭიდო... რა გახდა, ბიჭო, ე გლდანელი, ლამის ხიზაბარელობა დაინარჩუნოს!.. ისე მიცემს გული, ისე მამამტვრევს ტანში, თითქო გაცივებულიაო; მოლოდინი ძნელია და!.. რო წამაქციოს, რაღა მეშველება!!

გაჯავრებული მოვშორდი; ავიარ-ჩავიარე; დამიპირდაპირდა ისევ ის წევრი. ვიფიქრე გულში: ერთი ამას თუ «ტუკა» არ უყავ და ღმერთმა შემერცხვინოს-მეთქი. გავაჩქარე ბიჯი, ხელებს შლით, ანთებულის თვალებით უთხარი: «კნიაზო, კნიაზო! გაიგე? ეს არის ეხლა გლდანელი ისეთი წაუქცევიათ, რო ასტმით ძლივს-ლა აუფხეკნიათ».

— ვაიმე, ჩემო ფალავანო! ვირი ვარ, ვირი!! რატომ გუშინ არ ჩამოველ, ხომ ჩემი წააქცევდა. ივლო ერთი ხელი თმაში და მეორე ისეთი შემოიკრა ცხვირში, რომ ორ-ტოტად დანაკადულდა სისხლი. აბა დახე რისთვის და რაზე ვიხოცავთ თავებს-მეთქი, ვიფიქრე. ვსთქვათ ალექსანდრე მაკედონელი გმირი იყო, მაგრამ ე თავის მოკვლა რაო, რა მინდაო?— გახალისებულმა ამ ტყუილით, შემოვიარე ზევით და ვინც შემხვდა, ყველას მეორე ტყუილი უთხარი: «საღამოზე, ესე ოთხ საათზე, გლდანელს და ატამაშვილს სათავად-აზნაურო სკოლის ეზოში ხელ-მეორედ სჭიდებენ». იმედია ამაღამ კრება შესდგება...

წავოლა.

—

გორი, 20 მაისი («ისარის» კორ.) გუშინ დილას რაღაც ჩემი საქმისთვის დიდ ქუჩაზე ჩავიარე. სამმართველოს ახლო რაღაც ჩოჩქოლი შევნიშნე; ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა, ჩავერიე ხალხში; ზოგი იცინოდა, ზოგი თავს აქნევდა; ზოგი თითს უშვერდა გძელ თუნუქა გადაკრულ ფიცარზე. ფიცარს ერთი უშნოდ აწოწვილი, დაგლეჯილი და თმა-გაწეწილი რუსი აკრავდა; ეს ახმახი კაცი ისე აფარებიყო ამ ფიცარს, რომ ასოები არა სჩნდა. როგორც იყო ჩამოიწოწა ახმახმა და ჩვენს თვალს წარმოუდგა ოქროს ფერი ასოებით შავს ფონზე დაწერილი: **სამმართველო ფორმალისტებისა.** თურმე ნუ იტყვით, გორის ქალაქის სამმართველოს თავი, როგორც კრუხი, დააჯდება თურმე უბრალო საქმეს და გამოჩეკავს ერთი თვე უნდება. ნეტა მალე საქმის გაკეთება მაინც არ შეეძლოს: იგია კარგად განათლებული, გაგებული, მშვენიერი მოლაპარაკე, მაგრამ ფორმალისტობა სენად გადაჰქცევია: სული, გული, მთელი მისი სხეული გაჟღენთულია კანცელიარიზმით. მწერლები დატანჯულები არიან: ეს მძიმე ასე არ ზის. ის წერტილი დიდი მოგვსვლია და სხ. ამ გვარები. იმ დღეს შევედი სამმართველოს ზალაში; ერთი საცოდავი ქაღალდი აელო თავს, შემოეხვია გარს თავისი ატრიბუტები, ერთს შინჯავსა და ვაი-გაგლახში იყვნენ; ატრიალებდნენ, გახედ-გამოხედავდნენ. თურმე ნუ იტყვით: სინჯამდნენ, გაფხაჭნილი ხომ არსად არისო, ან ასო გადაკორიკებული ხომ არ არისო!.. თქვე კურთხეული შვილებო! ერთხელ მაგ კედლებს გამოშორდით და! ნახეთ ქუჩებში, რომელზე სიარულით ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს, ნახეთ ბაზარი, რომელშიაც მოვაჭრეები ყალბი საზომ-საწონით ტყავს გვაცლიან; გაიგეთ სურსათის მაზანდა, გაიგეთ საქონელი როგორ ოხრად იყიდება და ჩვენ კი ყასბები ჯიბეებს გვითხელებენ. მიიხედ-მოიხედეთ, «შიმშილსა კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა»! რას შემსხდარხართ გალიებში, რას! გამოიხედეთ მტკვრისკენ, რომელიც ახალ ხიდთან ყოველ დღე მეტივეებს ახრჩობს, აუნგრიეთ ძველი ნაბურჯალი, თქვე ყოვლად ხეტებო, და მოარჩინეთ უდროვოდ სიკვდილს ჩაგრული ხალხი. მაგრამ მე ამას ვის ველაპარაკები! რად ვაყრი კედელს ცერცვს! ტყუილად ვხარჯავ ტყვია-წამალს!.. ზოგი შემდეგისთვის.

კოხი.

—

ნიმუში პოლიციელის ბოქაულის დღიურიდამ (თუ მოგეწონებათ, გავაგრძელებ შემდეგისთვის). გუშინ, კვირა დღე გახლდათ, ერთი ხელოსანი ფაიტონმა გაიტანა. ერთი ორი ავ-ენა ატყდა: პროტოკოლი და პროტოკოლი!! რათა შვილოსა, რათა? იჰიჰი! რა კარგია!! მწკლ, მწკლ! უჰ, პირი სულ ნერწყვით ამევსო. ჩემი ცოლი დაჩვეულია: მივალ თუ არა, ჯიბეს ეცემა. გუშინ ცხვირში ძმარი მადინა, რატომ ცარიელი ჯიბით მოხველ. ის კი აღარ იცის კუჭიკომ, რომ მე დულცინეებიც მყავს! ხა, ხა!..

188—წ. მარტი (რიცხვი არ მახსოვს). ბიჭო, ბიჭო! რა ვირი ვარ, რააა!! სად მქონდა აქამდე ეს ოხრად დასარჩენი თავი, სად! ყველაზედ ადვილი სარჩოს შოვნის ღონის-ძიება ყოფილა ბეზღობა. აიღე და დაბეზღე! აღარც აქედ, აღარც იქით! ეს აზრი ჩამაგონა მე კნიაზ იერონიმემ. ხელებს დაუკოცნი რომ შემხვდები (ენის დაკოცნა გირჩევნიან, სტყუი).. ერთი ეცადე, და კიდეც გამიჰრა...

—

ამბობენ: „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“ მოჭიდავე გლდანელს მიუცია წინადადება: ამირჩიეთ თავმჯდომარეთ, თუ გინდათ, რომ კრება შესდგეს ხოლმეო. ამასაც ამბობენ, რომ ერთმა აზნაურების სკოლის კომიტეტის წევრმა სკოლის მოსამსახურეს თურმე ყური გაუწია. ღმერთო რა ცილს არ დასწამებენ კაცს!?

ერთ რომელიღაც სასწავლებლის უფროსს შეუტანია წინადადება, რომ მე გამოვიგონე მარტო უხმო ასოების და მიმიკის შემწეობით ლაპარაკიო; მაგალითად მოჰყავს თურმე გოგოლის ექიმი ქრისტიანე, რომელიც მუნჯი ხმებით ლაპარაკობდა: ხმ, ხხ, ხრ—და სხვ. ყოჩაღ, ბიჭო, დროზე არ მოგვასწრო!!

რედაქტორი—გამომცემელი გუმცაძე.

1882 წ.
26 მაისი.

შვილი რომელსაც გლდანელი ცეცხლივით მეძლო. ჯერ ცალი ხელი მოავლო და მთლად დააფორიაქა: დაიქნია და წამოაპირქვავა. მერე თითონვე აყვნა, გამოჰკრა სარმა და ზედ ზურგზედ გაშხლართა.

ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია და ჩვენც აღარას ვიტყვით.

* * *

გლდანელის წერილი.

ბ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე 20 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი მიხეილ ათამალაშვილისა.

მე მაშინ პასუხი არ გავეცი და არც ეხლა გავსცემდი, რომ დარწმუნებით არ შემეტყო, რომ ის წერილი ისე ეკუთნის იმას, როგორც მე და რომელშიაც ცილის წამებაა ჩემზედ, რომელიც მე ჯერ არაფრით დამიმსახურებია მეც იმ აზრისა ვარ, რომ ძრიელ დიდი უსამართლობაა ფული გადაახდევინო და ნამეტნავად მუშა ხალხს იმის ყურებისთვის, რაც ჩვენში ყოველთვის მუქთი ყოფილა. მე ჩემს დღეში ჭიდაობის ფულის მოსაგებ ხელობად არ გავიხდი და გაშლილ მინდორზედ იმდენ ჯერ მიჭიდავნია, რომ ათამალაშვილი ვერც კი დასთვლის; მაგრამ მიჭიდავნია იმისთანა ადგილებშიაც, სადაც მაყურებელთ ფულს ახდევინებენ. იმისთანა ადგილებში სულ თოთხმეტჯერ მიჭიდავნია და ათჯერ საწყლების სასარგებლოდ და იქიდამ ერთი კაპეიკიც არ მამიღია. თუ ამისთანა ჭიდაობას ათამალაშვილი ,,გალერეაში ხტუნვას'' ეძახის დეე ეგრე იყოს მაშ! მე კიდევაც მზათა ვარ იმ გალერიაში ვიჭიდაო, ოღონდ ჩემი შნოებით და უნარით საწყლებს და გაჭირვებულებს რამე ერგოთ.

ივანე ყირიმელი (გლდანელი)

შენიშვნა: ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ გლდანელის ჭიდაობით საქველ მოქმედო მიზნისთვის ხუთას თუმანზედ მეტი შეგროვილა ჯერ.

რედ.

* * *

კერძო საავადმყოფო

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ 10½-მდინ ნაკასარტიანც—სიფილიტიურ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბიევი სამშაბათობით და შაბათობით, საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

განცხადებანი

საშუალო სასწავლებელ-ახლად-შესრულებულ ყმაწვილ კაცს სურს ამ ზაფხულ აძლიოს

გაკვეთილები ძლიერ იაფ ფასად

მსურველთ შეუძლიათ თავიანთი ადრესის დატოვება ექ. ხელაძის სტამბაში. (5—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—80)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ხაგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საагентო—ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—19)

შპალერები

ვერცხლის მელანი.

აურებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაუთმობთ. (40—12)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად ვინამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—68)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2— ,,	— — 3— ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელსახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—82)

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЮРИДИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ
„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

Издаваемый въ г. Тифлисѣ.
(годъ третій)

Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, кромѣ приложеній по прежней программѣ Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: Тифлисъ, Cолакская улица д. № 10.

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, на полъ года 6 р.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и чрезъ два мѣсяца еще 3 р.

Подписка принимается на 3 мѣсяца—3 р. 20 к. и на 1 мѣсяцъ 1 р. 25 к.

ОТДѢЛЬНЫЕ НОМЕРА—25 коп.

Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и С.-Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(5—1) Редакторъ-издатель *А. С. Френкель.*
[Присяжный повѣренный]

Дозв. цензурою. Тифлисъ, 31 Мая 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.